

მ.ვ.

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

09.08.2011 N 81

თბილისი

„სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ“

სტუ-ს 2011 წლის 8 ივლისის N 71

ბრძანებაზე დამატების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 22-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

„სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ“ სტუ-ს 2011 წლის 8 ივლისის N 71 ბრძანებას დაემატოს შემდეგი პუნქტები:

11. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველები ვალდებული არიან გაიარონ შესარჩევი ტური.
12. შესარჩევი ტური ჩატარდეს 2011 წლის 23 აგვისტოს სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე 10<sup>00</sup> საათიდან (მისამართი: თბილისი, კოსტავას 77, VI კორპუსი, მე-9 სართული);
13. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებელმა (რ.ქუთათელაძე) არა უგვიანეს 2011 წლის 12 აგვისტოსა სწავლების დეპარტამენტში წარმოადგინოს საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა;
14. შესარჩევ ტურში მონაწილეთა რეგისტრაციისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე (მისამართი: თბილისი, კოსტავას 77, VI კორპუსი, მე-9 სართული), 2011 წლის 8 აგვისტოდან 19 აგვისტოს ჩათვლით (გარდა შაბათ-კვირისა), 11<sup>00</sup> საათიდან 17<sup>00</sup> საათამდე უნდა წარმოადგინონ განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი და ნიშნების ფურცელი გამომწვები უნივერსიტეტიდან (ასლი, დამოწმებული ბეჭდით);
15. შესარჩევი ტურის შედეგები გამოქვეყნდეს სტუ-ს ვებგვერდზე 2011 წლის 24 აგვისტოს;
16. სააპელაციო განცხადებები მიიღება ამა წლის 26 აგვისტოს;
17. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებელმა (რ.ქუთათელაძე) მოამზადოს მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ მოტივირებული დასკვნები და წარადგინოს ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად არა უგვიანეს 2011 წლის 12 სექტემბრისა.

რექტორი  
ვიზები:

ა. გვანგიშვილი

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ბ. მაისურაძე